# ცნობის ფურცელი

№ 2385 ოთხშაბათი, 21 იანვარი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2385

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

ოთხშაბათს, 21 იანვარს, 1904 წ., რეჟისორის ბელსკის საბენეფისოდ წარმოდგენილ იქნება

„აფრიკელი ქალი“

ოპერა 5 მოქ. მუს. მეიერბერისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ენკვისტ, კარტავინა, სკორუპსკაია; ბ-ნნი ფიგნერი, ილიუშჩენკო, ამირჯანი, თულაევი, სანგურსკი, ფედოროვი, კლიუზნერი, გრინევი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: 22 იანვ. „ვინძორის ნათლიდედები“, 23 იან.—„გალკა“; 24 იანვ.—„ევგენი ონეგინი“.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
ლ. ივ. ძამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ 10 ს.—11-მდე.
ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.
ა. გ. მალალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.
ვ. დ. ღამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.
ბრ. მ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.
ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.
ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საზებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ლ. მ. მონინი.—ქალისა, საზებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.
ვ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—9 საათამდე.

საღამოთი:

ბ. ვ. სოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
ა. გ. მალალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევა 5—6 ს.
სამკურნალოს აქვს ოცი წოლმიანი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 ბ.
(წლ.) ტელეფონი № 274

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქუჩა, № 38).
იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ქუთაისში
ექიმი გ. დ. ნასარიძე
მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე, საღამოთი 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ატნიპარმაკლიძისა. (0—6.—36)

ექიმი
ვ. დ. ღამბაშიძე
ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათ. ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი № 46.
წლ.

კბილის ექიმი
ნ. ტყეშელაშვილი
ოლღას ქუჩა, № 31. იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე: დილის 9—1 ს., ნაშუადღევს 2—4-მდე. კვირაობით 10—6-მდე.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძ
(წლ.)

## საზღვარ-გარედ

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

### შორეულ-აღმოსავლეთის საქმე

პორტ-არტურიდან დეპეშით ატყობინებენ „ნიუ-იორკ ჰერალდ“-ს: „რუსეთის მთავრობამ 50 ათასი ტომარა ფქვილი იყიდა; ქვა-ნახშირსა და ყოველნაირ მასალასაც დიდძალს ამზადებს. ადმირალ ალექსეევთან დაახლოვებულმა პირმა მიამბო, რუსეთი მდინარე იალუზე ჯარის გაგზავნას აპირებსო. აქაური სამხედრო წრე მეტად აღელვებულია“.

სიკუძენისა და ბუძენის პროვინციებში (იაპონიაში) ქვა-ნახშირის მადნების პატრონებმა ერთხმად დაადგინეს, რუსეთს ქვა-ნახშირს ნუღარ მივყიდითო.

ინგლისურ გაზ. „დეილი ტელეგრაფ“-ს დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან: რუსეთის პასუხი ჯერ არ მოსულა, მაგრამ მალე კი მოვა. ბარონ როზენმა წერილი გამოუგზავნა ბარონ კომურას, მაგრამ ეს ოფიციალური პასუხი როდი იყო.

გერმანულ გაზ. „ბერლინერ ტაგებლატ“-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი ამტკიცებს, რუსეთის მთავრობას ამ ჟამად ადმირალ ალექსეევთან აქვს გამართული ტელეგრაფით მოლაპარაკებაო. რა წამს ალექსეევის აზრს გაიგებს, მთავრობა თავის საპასუხო ნოტას საბოლოოდ შეადგენს და იაპონიას გაუგზავნის. რუსეთი და იაპონია თითქმის ყველაფერში მორიგდნენ, ეხლა მცირე დავა-ღა აქვთ გადასაწყვეტიო.

ამერიკულ გაზ. „ნიუ-იორკ-ჰერალდ“-ის პეტერბურგელ კორესპონდენტს უკითხავს რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროში, იაპონიამ მართლა გადაიყვანა ჯარი ჩემულპოში (კორეაში), თუ არაო. სამინისტროში უთქვამთ: ჩვენ მხოლოდ იმისი თქმა შეგვიძლიან, რომ იაპონია მეტად ფიცხად, მხნედ იქცევაო.

კორესპონდენტს იაპონიის ელჩი ბ-ნი კურინოც უნახავს. კურინოს უთქვამს: იაპონია იმდენ ჯარს ვერ გადაიყვანდა ჩემულპოში, რამდენიც დეპეშებში ეწერა, რადგან იქ იმდენი ჯარი არ გვყავნდაო. მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ იაპონიასა და რუსეთს პირობა აქვთ დადებული, თუ კორეაში უწესოება ან არეულობა მოხდა რაიმე, იაპონიას ნება აქვს, ჯარი გადაიყვანოს კორეაშიო. ბოლოს ელჩს უთქვამს, რუსეთს ჯერ არ შეუდგენია საპასუხო ნოტა, პასუხი მოკლედა და ზრდილობიანად იქნება დაწერილი და; იმედია, მალე გაიგზავნებაო.

გერმანული გაზ. „პოსტ“-ი სწერს: რუსეთს ჯერ პასუხი არ ჩაუბარებია იაპონიისათვის. ტოკიოს მთავრობას მართალია ულტიმატუმი არ გაუგზავნია რუსეთისათვის, მაგრამ იაპონიის უკანასკნელ ნოტაში გადაჭრით იყო ნათქვამი, ამაზე მეტის დათმობა აღარ შეგვიძლიანო. ტოკიოში დარწმუნებულნი არიან, თუ რუსეთი იაპონიის წინადადებას შეუცვლელად არ დასთანხმდება, უსათუოდ ომი მოხდებაო. კორეის თაობაზე რუსეთი და იაპონია თითქმის მორიგდნენ კიდევაც და ეხლა მხოლოდ მანჯურიის თაობაზე მოსდით უთანხმოება. იაპონია, სხვათა შორის, თხოულობს, იაპონელებს მანჯურიაში დასახლების ნება მიეცეთო. პეტერბურგის მთავრობა კი არას დროს არ დასთანხმდება ამნაირ მოთხოვნილებას.

ბოლოს გაზეთი სახელმწიფოთა შუამავლობაზე ლაპარაკობს. გაზეთის აზრით ეს შუამავლობა შეუძლებელი საქმეა. უცხო სახელმწიფოების შუამავლობა უარესად აჭრევს საქმესაო, უფრო დიდს უთანხმოებას ჩამოაგდებსო. ამიტომ გერმანია ამ საქმეში მტკიცე ნეიტრალიტეტს დაიცავსო.

„დეილი ტელეგრაფ“-ი იუწყება: რუსეთმა ოქტომბერში მისწერა იაპონიას: მანჯურიიდან ჯარს ვერ გავიყვანთ, რადგან იქაურ რკინის გზას ჯერ დიდი დაცვა და პატრონობა სჭირიაო. ამაზე კომურამ 17 ოქტომბერს უპასუხა: იაპონია დიდის ხალისით დაეხმარება რუსეთს ამ საქმეში და მანჯურიის რკინის გზის დასაცველად თითონაც დიდის სიამოვნებით გაჰგზავნის პოლიციასა და, თუ საჭირო იქნება, ჯარსაცაო, მაგრამ იმ პირობით-კი რომ, რამწამს მანჯურიაში წესიერება დამყარდება, რუსეთმაცა და იაპონიამაც მაშინვე უნდა გამოიყვანონ ჯარიო.

### ზანგების აჯანყება გერმანიის კოლონიაში

დასავლეთ-სამხრეთ აფრიკიდან მიღებულმა ამბებმა მთელი გერმანია შეაწუხეს. აჯანყებულ ზანგებს სვაკოპმუნდში ყველა გერმანელი ფერმერი და ვაჭარი ამოუწყვეტიათ. უბედური გერმანელები მოკვლის წინ უღვთოდ დაუტანჯავთ. ჰფიქრობენ, ზანგები ოკაიანდაში მცხოვრებ თეთრ ხალხსაც დახოცავდნენო. იქიდან არაფერი ამბავი აღარ მოდის. ზანგებმა ალყა შემოარტყეს ვინდგეკს. კაპშტადტიდან იუწყებიან, ვინდგეკის მცხოვრებლები საშინელ გაჭირვებაში არიან ჩაცვივნულნიო. ინგლისის მოხელეები ჯერ-ჯერობით დახმარებას არ უწევენ

# ფელეტონი

## სიტყვა-კაზმული მწერლობა 1903 წელს

(შემდეგი *)

ბ-ნ ყიფიანზე ნაკლების ყურადღების ღირსი არ არის ქ-ნი ნინო ნაკაშიძე, რომელმაც გასულს წელს პირველად აიღო ხელში სამხატვრო კალამი. თითქოს გლეხ-კაცობის სიღარიბე მთელის ჩვენის ქვეყნის საერთო უბედურება იყოსო და ახალგაზდა მწერლებმა მიზნად გაიხადესა ამ უბედურების საყოველთაო აღწერაო, ასეთს შთაბეჭდილებას გვაძლევს ბ-ნ ყიფიანისა და ქ-ნ ნაკაშიძის კალმის მოქმედება. პირველი მწერალი ქართლელის გლეხის სიღატაკის სურათებს გვიყენებს თვალ-წინ და მეორე—ლიხის მთის გადაღმა გლეხის ბრძოლას იმავე უბედურებასთან.

ბუნებითი ხასიათი იმერეთისა და ამერეთის მკვიდრისა დიდად სხვა-და-სხვაობს; ისტორიულია თუ სხვა რომელთამე მიზეზთა გამო ამერი იმერთან შედარებით უძრავია, მოუქნელი და ადვილად ვერ ახერხებს ახალის გზის გაკვლევას ცხოვრების მინდორზე. ხასიათის სხვა-და-სხვაობას ექვემდებარება სხვა-და-სხვაგვა- მნიშვნელობა სიღარიბისა იმერეთში და ამერეთში გლეხებისთვის, სხვა-და-სხვაგვარი გავლენა ერთისა და იმავე მიზეზისა [illegible]კაზე. აქედან წარმოსდგება მთავარი განსხვავება ბ-ნ ყიფიანისა და ქ-ნ ნაკაშიძის გლეხებს შორის. ქ-ნ ნაკაშიძის გლეხმა ნათლად გაითვალისწინა თავისი მდგომარეობა, იმას უკვე კარგად ესმის, რომ მარტო ოდენ შრომის გაორკეცებით სიღატაკეს თავს ვერ დააღწევს, თუ შრომის ასპარეზი იგივე დარჩა, რაც წინად იყო; იმისთვის ცხადზე უცხადესია, რომ სიღარიბის წყლულის მორჩენა მხოლოდ ახალის გზით სიარულს შეუძლიან. მაგრამ იმისი სულიერი განწყობილება, რომელიც ამოშენებულია ძველის ცხოვრების წესზე, ვერ ეთანხმება არსებობის ახალს ფორმებს და აი აქედან წარმოსდგება ის სულისკვეთება, რომელიც მხატვრულად და დიდის დაკვირვებით აწერილი აქვს ქ-ნს ნაკაშიძეს თავის საუკეთესო ნაწარმოებში. „ძიძა“ დამთავრებული დასრულებული მოთხრობაა, რომელიც გვიხატავს გლეხის ოჯახში აღზრდილის ზნეობის შეტაკებას ქალაქის ცხოვრებასთან.

მოხუცი მზეხა, ახალგაზრდა კოწია და იმისი ცოლი ქრისტინე დიდად შეწუხებულნი არიან უქონლობით. ვალს გასტუმრება უნდა, მოვალე აღარ იცდის და ფულის შოვნა-კი არსადა სჩანს. მზეხა, მოხუცებულობის მიუხედავად, თავისუფლად აზროვნობს და იმ დასკვნაზეა გაჩერებული, რომ ოჯახის ყმაწვილი რძალი, ქრისტინე, ქალაქში უნდა წავიდეს ერთის წლით, სხვისა ოჯახში ძიძად იმსახუროს და თავის შრომის ფასით სახლს წელი გაუსწოროს. მზეხა მწარედ დასცინის თავის შვილს, კოწიას, ჩობანოხარ და ცოლის სიტყვას ემორჩილებიო. ქრისტინე ჰგრძნობს, რომ მზეხა მართალია, ესმის, რომ ერთის წლის ძიძის ჯამაგირი დიდი შეღავათი იქნება იმის ქმრისთვის, მაგრამ გული ვერ დაუმორჩილებია, უცხო სახლში შესვლა და საკუთარ კერის თავის დანებება ვერ გაუბედნია. კოწიას ნაზის სიყვარულით უყვარს თავისი ქრისტინე და ძალა ვერ დაუტანებია. გაჭირვებამ მაინც თავისი გაიტანა და კოწია მზეხას მიემხრო. მეტი გზა არ იყო, ქრისტინე მოემზადა და გასწია ქალაქ №-კენ ვიღაც პოლკოვნიკის სახლში, სადაც ძიძობა უნდა გაეწია.

ამ დღიდან იწყება საშინელი განსაცდელი ქრისტინეს ცხოვრებაში. სიმარტოვეს, გულახდილობას და ოჯახის სიწმიდეს ჩვეული ქრისტინე ირგვლივ მხოლოდ იმას ჰხედავს, რაც ძირიან-ფესვიანად ეწინააღმდეგება იმის ზნეობით წარმოდგენებს. ეს კიდევ არაფერი, ნება მაინც რომ ჰქონდეს ჩვენს გმირს ისე მოიქცეს, როგორც საკუთარი გრძნობა და აზრი უბრძანებს, მაგრამ უმთავრესი უბედურება სწორედ ის არის, რომ ეხლა ამისი უფლება აღარა აქვს. პოლკოვნიკის სახლში შესვლის პირველ დღიდანვე ქრისტინეს უბრძანეს, მარხვის შენახვაზე ხელი აიღე და სახსნილო სჭამეო, თორემ ბავშვისთვის კარგი რძე არ გექნებაო. მარხვის გატეხა, ქრისტინეს შეხედულებით, დიდი ცოდოა, მაგრამ ის ეხლა თავისი ბატონი და მბრძანებელი აღარ არის, ერთის წლის განმავლობაში სხვისა გუნებით უნდა იცხოვროს. ეს პირველი ნაბიჯი იყო ქრისტინეს ცხოვრებაში საკუთარის ზნეობითის წინააღმდეგ წასვლისა, მაგრამ როგორც ყოველ საქმეში, პირველს ნაბიჯს მეორე და მესამე მოსდევს ხოლმე. დიდი გავლენა იქონია ქრისტინეზე პოლკოვნიკის სახლში მოსამსახურეთა წრემ. ქრისტინე ჰხედავდა, რომ ისინი გარეგნობით, მიხვრა-მოხვრით, ჩაცმა-დახურვით, ცოდნით და ყოფა-ქცევით დიდად განსხვავდებოდნენ სოფლის გლეხისაგან, თუმცა ყველანი სოფლიდან ჩამოსული გლეხები იყვნენ. ქრისტინეს აზრით, ეს მოსამსახურენი უფრო მაღლა იდგნენ, ვიდრე თითონ ის და ამიტომ ცდილობდა მათ დამსგავსებოდა.

გავიდა ხანი და ჩვენი გმირი თვალსაჩინოდ გამოიცვალა, როგორც გარეგნობით, ისე სულიერად. სიღარიბისა გამო გამხდარი, გასაცოდავებული, დაუშნოვებული ქრისტინე ეხლა იმდენად გალამაზდა, რომ თითონვე იგრძნო თავის სილამაზის ძალა და მიმზიდველობა. თუ აქამდე საკუთარის ოჯახის გაჭირვება მუდამ თვალწინ ედგა და ნაღვლიანად სწყევლიდა ბედს, რომელმაც საყვარელს ქმარსა და შვილს, ბავშვს, დააშორა, ეხლა ქრისტინეს ძალიან ნაკლებად-ღა აგონებდა კოწია და მარო; თუ აქამდე გაკვირვებული იყო თავის ქალბატონის ცელქობით უცხო კაცებთან და იმის მიერ ოჯახის სიწმინდის შერყევა ცოდვად მიაჩნდა, ეხლა ზოგჯერ იმასაც კი ჰფიქრობს ჩვენი გმირი, ვინ უფრო ლამაზია, მე თუ ჩემი ქალბატონიო, და სიამაყესა ჰგრძნობს, როდესაც ამჩნევს, რომ ბატონი იმას მაცდურის თვალით შეჰყურებს თვალებში. თუ აქამდე სიტყვით კი არა, ფიქრადაც არ გაუტარებია თავში ჩვენს გმირს უცხო კაცისადმი სიყვარული, ეხლა ის გალაღებული უამბობს თავის ქალბატონს ვიღაც სანდროსადმი სიყვარულს.

დრო გამოშვებით ქრისტინეს სოფლიდან ხან დედამთილი და ხან ქმარი ეწვევა ხოლმე

---

*) იხ. „ცნ. ფურცელი“ № 2378.

გერმანელებს, რადგან თავიანთ მთავრობისაგან ამის თაობაზე ბძანება არა მოჰსვლიათ. გერმანელები დარწმუნებულნი არიან: რამწამს კოლონიაში ჯარი ჩავა, აჯანყებას მალე ჩააქრობენ, მაგრამ ვინ იცის იქნება ჯარის მისვლამდე ზანგებმა ყველა გერმანელი კოლონისტი გასწყვიტონ.

ამავე აჯანყების თაობაზე ინგლისურ გაზ. „დეილი ტელეგრაფ"-ს დეპეშით ატყობინებენ კაპშტადტიდან:

აჯანყებულმა ზანგებმა დამარალანდში, ვინდგეკის ჩრდილოეთით გერმანელების რამდენიმე სოფელი აიღეს და დასწვეს. გერერების (ზანგების) რაზმმა ამარურუში თეთრი ხალხი სულ ერთიანად ამოსწყვიტა. ჰერერებს სამი ათასზე მეტი თოფი აქვთ. ინგლისის კოლონიის მთავრობამ ერთი კანონირი ნავი გაგზავნა გერმანელების საშველად.

**გერმანიის რეიხსტაგში**

„ნოვოე ვრემია"-ს დეპეშით ატყობინებენ ბერლინიდან: მთავრობამ რეიხსტაგს ფული სთხოვა დასავლეთ-სამხრეთ აფრიკაში აჯანყების ჩასაქრობად. როცა ამ წინადადებას კენჭი უყარეს, სოციალ-დემოკრატების დეპუტატებმა მონაწილეობა არ მიიღეს კენჭის ყრაში. ამომრჩევლებმა —სოციალ-დემოკრატებმა— კრება მოახდინეს და სოციალ-დემოკრატ დეპუტატებს პროტესტი გამოუცხადეს. კრებამ დაავალა დეპუტატებს, ამნაირ კრედიტებს მუდამ პრინციპიალური წინააღმდეგობა უნდა გაუწიოთო, რადგან კოლონიალური პოლიტიკა კაპიტალიზმმა შეჰქმნაო.

**მაკედონიის საქმე**

მაკედონელები იმუქრებიან, გაზაფხულზე უფრო ძლიერ აჯანყებას მოვახდენთო. გაზაფხული მოახლოვდა და მაკედონელ რევოლიუციონერებმაც მართლა ისევ იჩინეს თავი. უცხოეთის გაზეთები იუწყებიან: ამ ბოლოს დროს ოსმალოს ჯარს რამდენსამე ადგილას შეტაკება მოუვიდა მაკედონელ რევოლიუციონერების რაზმებთანაო. ამას წინად მელნიკს ახლო მომხდარ შეტაკების დროს რევოლიუციონერების რაზმსა და ოსმალების ჯარს ათ-ათი კაცი დააკლდათო.

მონასტირის ვილაეტიდან გერმანულ გაზ. „ფრანკფურტერ ცაიტუნგ"-ს სწერენ: აქ ხელ-ახლად გაჩნდნენ მაკედონელების მეთაურები. კასტორის ოლქში ცაკალაროვი მოქმედებს, ექშისუს ოლქში კიდევ ალექსიევი დაბინავდა. ესენი ეხლავე შეუდგნენ აჯანყების თადარიგს.

**ინგლისელ ტრედ-უნიონების გაზეთი**

ინგლისელ მუშების ტრედ-უნიონებმა ახალი გაზეთი „ვიკლი ტრიბუნე" დააარსეს. გაზეთი ამ დღეებში გამოვა და უმთავრესად თავისუფალ ვაჭრობის დაცვას მიაქცევს ყურადღებას და ჩემბერლენის სატამოჟნო პლანების წინააღმდეგ იმოქმედებს. ახალი გაზეთი ყველა ტრედ-უნიონის წევრ-მუშას გაეგზავნება, ასე რომ მეტად ბევრი მკითხველი ეყოლება. ინგლისელ ტრედ-უნიონებს აქამდე საკუთარი გაზეთი არა ჰქონიათ.

**ირლანდიელ დეპუტატის პატივება**

შარშან ირლანდიელ დეპუტატ პოლკოვნიკ რობერტ ლინჩს ინგლისის სასამართლომ სახელმწიფო ღალატისათვის სამუდამო კატორგა მიუსაჯა.—ლინჩი სამხრეთ-აფრიკის დროს ბურების რაზმში იბრძოდა ინგლისელების წინააღმდეგ.—ეხლა ლინჩისათვის უპატივებიათ და ციხიდან გაუნთავისუფლებიათ. „დეილი ტელეგრაფ"-ი იუწყება: ლინჩის პატივება თითონ მეფე ეუარდ მე-VII-მ მოითხოვა; მეფეს სწადიან ამით ირლანდიელების გული მოიგოსო. ლინჩი, საცა მოინდომებს, იქ იცხოვრებს, ეგაა პარლამენტის კრებებში მონაწილეობას ველარ მიიღებს.

**დუბლინის ლორდ-მერის არჩევანი**

იქით კვირია შაბათს ირლანდიის დედაქალაქ დუბლინის ლორდ-მერის (ქალაქის მოურავის) არჩევანი მოხდა. გავლენიან მოღვაწის კოტონის არჩევა უნდოდა ბევრსა, მაგრამ უკიდურესმა ნაციონალისტებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს იმის კანდიდატურას. უკიდურეს ნაციონალისტებს იმაზე ეჯავრებათ კოტონი, რომ წარსულ წელს კოტონმა წინადადება მისცა დუბლინის საბჭოს, მეფე ეუდარდს ირლანდიაში მოსვლის დროს მისასალმებელი ადრესი მივართოთო. ამიტომ არჩევნის დროს კოტონმა მხოლოდ 37 ხმა მიიღო და ქალაქის მოურავად ნაციონალისტი გეტჩინონი აირჩიეს 47 ხმის უმეტესობით.

# ახალი ამბავი

◆ „კავკაზ"-ში დაბეჭდილია კავკასიის მთავარ-მართებლის **სავალდებულო დადგენილებანი ქალაქ სოხუმისა** და სოხუმის ოლქისთვის. ამ სავალდებულო დადგენილებათა ძალით ხსენებულ ქალაქსა და ოლქში პირველ თებერვლიდან აკრძალული იქნება ყოველ გვარ იარაღის ტარება.

◆ ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით, 1897 წ. შესდგა განსაკუთრებული კომისია ქალაქის ერთის წარმომადგენელის მონაწილეობით. იმ კომისიას დაევალა ტფილისის სამზღვრებ შორის აღენიშნა **მტკვრის ნაპირები.** აქამდე ამ კომისიამ მინდობილი საქმე ვერ გააკეთა, რადგან ქალაქის გამგეობას არ ჰქონდა გეგმა მტკვრისა და იმის ნაპირებისა. მხოლოდ ეხლა გამგეობის წევრს ბ-ნ ენფიანჯიანცს შეუდგენია აღნიშნული გეგმა და წარუდგენია კომისიისათვის.

◆ ხვალ, 22 იანვრისთვის, ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობით დანიშნულია **კერძო კრება** ტფილისის საბჭოს ხმოსნებისა გამგეობის წევრის თანამდებობაზე კანდიდატების დასასახელებლად. ხმოსანთა ერთი ნაწილი კანდიდატად ასახელებს ხმოსანს თავ. ნ. ი. არგუთინსკი-დოლგორუკოვს. კრება მოხდება საბჭოს დარბაზში, საღამოს 8 საათზე.

◆ კავკასიის **სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** წევრთა კრება, დანიშნული 20 იანვრისათვის, გადაიდო 22 იანვრისათვის.

◆ **საქართველოს ექსარხოსი** გუშინ 20 იანვარს საღამოს მატარებლით ბაქოს გაემგზავრა. იქიდან დაბრუნებისას, 30 იანვარს ექსარხოსი ერევანს აპირებს წასვლას.

◆ დღეს, 21 იანვარს, კავკასიის სასოფლო სამეურნეო საბჭო ექსპონატებსა ჰგზავნის **სან-ლუის გამოფენაზე** ამერიკაში.

◆ ფოთის ქალაქის თვით-მმართველობას შუამდგომლობა აღუძრავს **ფოთში პოლიციის ახალ შტატის დამტკიცების** შესახებ. ამ შტატით 9 პოლიციელის ნაცვლად 21 იქნება. ქალაქი ნაწილებად დაიყოფება, გაუქმდება პოლიცმეისტერის თანაშემწის თანამდებობა და დაწესდება სამი უბნის ზედამხედველისა და ორი საქმის მწარმოებლისა. ზედ-მეტი ხარჯი ქალაქმა უნდა გაიღოს.

◆ **ღარიბ მცხოვრებთა დასახმარებლად,** როგორც მკითხველებმა იციან, ტფილისის ქალაქის საბჭომ 2000 მანეთი გადასდო. ფულად აქედან დაარიგებენ მხოლოდ 500 მანეთს. 1000 მანეთისას იყიდიან შეშას და დაარიგებენ, 300 მანეთისას—ნახშირს, ხოლო 200 მანეთისას სადილებს გაჰმართავენ უღარიბესთათვის.

◆ დუშეთის მაზრაში ამ თვიდან სამს ალაგას **არსდება სამრევლო სკოლა,** სახელდობრ: კაიშაურსა, ნაღორევსა და ნატახტარში. კაიშაურში სოფლელებს 500 მანეთი დასჯდომიათ შენობა და 100 მანეთიც უნდა აძლიონ შეშისა და ყარაულის ფულად; ნაღორევშიაც ამდენივეს იხდიან სოფლელები. ხოლო ნატახტარში მთელი ხარჯი უკისრნია გენერლის ქვრივს ჟურავსკისას (დიდებულიძის ასულს).

◆ ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანმა ა. ი. ხატისოვმა გუშინ გამგეობას წარუდგინა მოხსენება **ქუჩების ქვა-ფენილების** შესახებ. ხმოსანი სწერს: ქალაქის გამგეობა ნაკლებ ყურადღებას აქცევს იმას, რომ სახლის პატრონნი კარგად და რიგზე აკეთებდნენ თავიანთ სახლის წინ ქვა-ფენილებსა. გარდა ამისა სახლების პატრონნი ქალაქის მიწასაც ისაკუთრებენ, როდესაც სახლების წინ სარდაფებში ჩასასვლელ კიბეებს აკეთებენ. ეს კიბეები საფრთხეა ქუჩაში მიმავალთათვის, განსაკუთრებით ღამ-ღამეობითაო. ხმოსანი სთხოვს გამგეობას, წარუდგინოს საბჭოს მოხსენება იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებანი უნდა მიიღოს გამგეობამ ქვა-ფენილების გაუმჯობესებისათვის.

◆ ამ რამდენისამე დღის წინად ტფილისელმა ბერძნებმა, ი. გ. ბატიანოვის ინიციატორობით, გადასწყვიტეს დააარსონ ტფილისის **ბერძენთა საქველ-მოქმედო საზოგადოება.** წესდება უკვე შეიმუშავეს. საქველმოქმედო საზოგადოებას აზრად ექმნება დააარსოს პირველ დაწყებითი სკოლები, წიგნთსაცავ-სამკითხველო, აღმოუჩინოს ბერძენთა საზოგადოების უღარიბეს წევრთა ფულით დახმარება და სხვ. საწევრო ფული წელიწადში 6 მანეთია, ანუ ერთდროულად 100 მან. გუბერნატორს მოუწონებია აზრი საზოგადოების დაარსებისა და წესდების პროექტი დასამტკიცებლად წარუდგენია კავკასიის მთავარ-მართებლისათვის.

◆ გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობა შეეკითხა პოლიცმეისტერს, შეგვატყობინეთ მეეზოვენი ასუფთავებენ თუ არა ქალაქის ქუჩებს იმ დროს, როცა აღკრძალულია სავალდებულოს დადგენილებით, და როგორ დაეხმარება პოლიცია ქალაქის გამგეობას, რომ ქუჩები და მოედნები დროზე სუფთავდებოდესო.

◆ კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ ნება დართო, რომ თიანეთის მაზრის მარანთ-მარელისის სოფლის საზოგადოებას მიეცეს სასოფლო-სამეურნეო თანხიდან 600 მანეთი სასოფლო გამგეობას და სკოლის შენობის შესაკეთებლად. ეს ფული საზოგადოებამ ხუთის წლის განმავლობაში უნდა გადაიხადოს.

◆ როგორც სოფ. მარტყოფიდან (ტფილისის მაზრა) გვატყობინებენ, 14 იანვარს ღამის 10 საათზე ვიღაც ბოროტ-განმზრახველებს გაუტეხიათ ადგილობრივ მღვდლის ვასილ კოზმოვის სახლი, როდესაც იგი ოჯახობით სოფ. საგარეჯოს ყოფილა სიმამრთან. ყველა ნივთისთვის, რაც კი სახლში ყოფილა, დაუსხამთ ნავთი და ცეცხლი მოუციათ. ნავთი ჩაუსხამთ აგრეთვე სალოგინეებსა და კრაოტებში. წაღებით ბოროტ-განმზრახველთ არა წაუღიათ რა. დამწვარა კამოდი სავსე ნივთებით, კრაოტები, კუშეტკები ხალებით და ხალიჩებით და მთელი სალოგინე სავსე ლოგინით. ზარალი 300 მანეთს უდრის. ეს ამბავი მეზობლებს მხოლოდ მეორე დღეს გაუგიათ. ბოროტ-განმზრახველნი ჯერაც ვერ უპოვნიათ.

◆ გუშინ ტფილისის ქალაქის ლომბარდის გამგემ წარუდგინა ქალაქის გამგეობას 1000 მან. ეს ფული ქალაქს ერგება სარგებლად იმ 80 ათას მან., რომელიც ლომბარდმა ქალაქისაგან ისესხა.

◆ დიდუბის ღამის თავშესაფარში ამ ჟამად 160 სულია. აქედან 15 ქალია და 145 კაცი.

# რუსეთის ქრონიკა

◆ კამენსკის ქარხანაში მომხდარ უწესოების შესახებ „პრიდნეპრ. კრაი" სწერს:

სანახავად. იმათი ნახვა თითქოს აფხიზლებს ჩვენს გმირს, დავიწყებულს ზნეობას უცხოვლებს. ქრისტინე ჰგრძნობს, რომ თავის ქმარს, კოწიას, ისეთის სიყვარულით ვერ ეპყრობა, როგორც ცოლს შეჰფერის, და თავის თავზედვე ჯავრი მოსდის, უკვირდება საკუთარს გულის თქმას და გამოფხიზლებას ცდილობს, მაგრამ გადის რამდენიმე დღე და ქრისტინეს ისევ ავიწყდება თავისი კოწია. განსაკუთრებითის ხელოვნებითი აქვს აწერილი ქ-ნ ნაკაშიძეს თანდათანობითი გაქარწყლება ქრისტინეს დედობრივის გრძნობისა. პოლკოვნიკის ოჯახში ჩვენი გმირი სხვისა შვილს აწოვებს ძუძუს, სხვისა შვილს უვლის და ულოლიავებს; თან და თან იზრდება ქრისტინეს გულში ამ ბავშვის სიყვარული და ამასთანავე თან და თან ჰქრება სიყვარული საკუთარის ბავშვისადმი, რომელიც სოფელში დასტოვა მეზობლების იმედზე. როდესაც კოწიამ დიდის მწუხარებით აცნობა ქრისტინეს, მაროიე აღარ არის, მოკვდაო, ქრისტინემ თვალნათლივ დაინახა, რომ იმას თითქოს უკვე სრულიად გულიდან ამორეცხილი ჰყავს თავისი შვილი, დაინახა და შეწუხდა, მაგრამ მაროიას სიკვდილისაგამო კი არა, იმიტომ რომ გადაგვარება იგრძნო.

ერთს საღამოს ქალბატონმა ქრისტინე თეატრში წაიყვანა. ქალბატონს უთუოდ უნდოდა დაენახვებინა ქრისტინესათვის თავისი თავი სცენაზე, ცოცხალ სურათად. ქრისტინე მოიკაზმა და გასწია. საუცხოვო სანახავი ჰნახა ჩვენმა გმირმა. დიდძალ საზოგადოების წინაშე ნახევრად გატიტვლებული ქალბატონი [illegible] გადახვეული [illegible] [illegible] თვალებს, რომელიც წინადაც ბევრჯელ უნახავს ქრისტინეს მარტოკა თავის ქალბატონთან. ამ ურცხვისა და ჟინის ამშლელ სურათის შთაბეჭდილებით დაბრუნდა სახლში ჩვენი გმირი, დაწვა დასაძინებლად, მაგრამ ძილი არ ერევა, ოცნება ნავარდობს, გული არ ისვენებს. ქრისტინემ შკაფის კარი გამოაღო, რაღაცა სასმელი მოსძებნა, დალია და ისევ საძილოდ გაემზადა. ოთახში ბნელოდა, როდესაც ბატონმა კარი შეაღო და ქრისტინეს მიუახლოვდა. ჩვენმა გმირმა მოუფიქრებლივ გაუწოდა ხელი ბატონს. ამით დაგვირგვინდა ქრისტინეს თანდათანობითი ზნეობითი დაქვეითება სხვისა მოსამსახურეობაში. მეორე დღეს პოლკოვნიკის სახლში თითქმის ყველანი ჰგრძნობდნენ, რომ რაღაც ურიგობა და უმართებლობა მოხდა. ქრისტინეს ზნეობითმა გრძნობამ უეცრივ ძლიერად იჩინა თავი. წავალ ჩემს სახლში, წავალ კოწიასთან და ყველაფერს ვეუამბობო, სთქვა ჩვენმა გმირმა და მართლაც რამდენისამე საათის შემდეგ თავის კერას დაუბრუნდა, მაგრამ ცოდვის გამოჟღავნება კი ვერ მოახერხა.

მკითხველი ჰხედავს, რომ ქ-მა ნაკაშიძემ მთავარი ყურადღება პსიხიურს მომენტებს მიაპყრა და არა ფაქტებს; ფაქტებს იმის მოთხრობაში მხოლოდ იმდენად აქვთ დათმობილი ადგილი, რამდენადაც ეს საჭიროა სულიერის განწყობილების გამოსარკვევად. ჩვენ იმ აზრისა არა ვართ, რომ ბელლეტრისტიკა უთოდ და მარტოოდენ პსიხოლოგიურს გამოკვლევას წარმოადგენდეს, მაგრამ მოთხრობისათვის ამ მხარეს დიდი მნიშვნელობა აქვს. [illegible] [illegible]ლი მიზანი ის არის, რომ მკითხველის გულს რაიმე ბეჭედი დაასვას, რაიმე განწყობილება აღუძრას. საშუალებანი ამის მისაღწევად მრავალია და სხვა და სხვა გვარისა და ერთ-ერთს საშუალებად აუცილებლად უნდა ჩაითვალოს პსიხიურის მომენტების აღწერილობა. ქ-ნ ნაკაშიძეს აზრად ჰქონდა დაესურათებინა ზნეობის ძლიერება და ამით მკითხველისათვის ზნეობის ძალა ეგრძნობინებინა. როდესაც მწერალს მდიდარი ფანტაზია აქვს, მაშინ ის ისეთს მძლავრს ფაქტებს ჰქმნის, რომლებიც თავის სკელეტით ჰლაპარაკებენ, მაგრამ ფანტაზია იშვიათი ნიჭია და ამიტომ ის ყველას არ მოეთხოვება. ქ-ნი ნაკაშიძე, ჩვენის აზრით, უხვის ფანტაზიით ვერ დაიკვეხნის, და ამიტომ სრულიად სამართლიანად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ახალგაზრდა მწერალმა პსიხოლოგიურს მხარეს მიაქცია თავისი უმთავრესი ყურადღება.

ჩვენის მწერლის შეხედულებით, რამდენადაც ესა სჩანს იმის მოთხრობიდან, ზნეობა უდიდესი ძალაა ადამიანის სულიერის არსებისა და ამ ძალის სადგური გონებაა და არა გრძნობა. ქრისტინეს მდგომარეობა იმით არის განსაცდელი, რომ გრძნობას ზნეობის საწინააღმდეგოდ მიმართულება ეძლევა. ქრისტინესაგან ზნეობა ქმრის სიყვარულს ითხოვს და გრძნობა კი თითქოს უკადრისობს კოწიას. მაროიეს სიკვდილისა გამო გრძნობა არაფერს ეუბნება ქრისტინეს, ზნეობა-კი სასტიკადა ჰკიცხავს ჩვენს გმირს ამ გულ-გრილობისათვის. ჩვეულებრივი წარმოდგენა ზნეობისა, როგორც ერთგვარის გრძნობისა, ქ-ნ ნაკაშიძეს არ აკმაყოფილებს. იმის აზრით გრძნობა და ზნეობა სხვა-და-სხვა, მოპირდაპირე ძალაა, და მათ შორის ხშირად სასტიკი ბრძოლა ჩნდება. შესაძლოა დროებით გრძნობამ გაიმარჯვოს, ზნეობას მოთხოვნანი დაჩრდილოს, მაგრამ ეს კიდევ სრულს გამარჯვებას არა ჰნიშნავს. სწორედ მაშინ, როდესაც გრძნობა დიდს სისაძაგლეს ჩაადენინებს კაცს, მოსალოდნელია, რომ ზნეობა ახალის ძლიერებით გამოილაშქრებს, და ერთბაშად აჰყენებს ფეხზე წაქცეულს, გრძნობის მონად გამხდარს ადამიანს. მთელის მოთხრობის მანძილზე ქრისტინე თან-და-თან უფრო და უფრო მეტად ემორჩილება გრძნობას, რომელსაც ის გარყვნილების მორევისაკენ მიჰყავს; თითქმის ჩაერია კიდეც ჩვენი გმირი იმ ზნეობით ვაგლახობას, რომელიც ბატონების სახლში ჰსუფევს; ათასი თვალისა და გულის წარმტაცი სურათის გავლენით ქრისტინემ ერთხელ ქმარსაც-კი უღალატა, მაგრამ ზნეობამ მაინც მეტი ძალა გამოიჩინა და ქრისტინე ისევ დაუბრუნდა თავის მშვიდსა, წყნარს, შრომის მოყვარე ოჯახს.

„ძიძის" გარდა ქ-ნ ნაკაშიძის ნაწერებია „დადეგი" და „ყაჩობა". ორივე მოხდენილად არის დაწერილი და ინტერესით იკითხება. მათს დაწვრილებითს განხილვას აღარ გამოვუდგებით; აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ქ-ნ ნაკაშიძეს, როგორც მწერალს, ყველგან ერთი და იგივე თვისებები ეტყობა: ღრმა დაკვირვება და ცოდნა იმერეთის გლეხის ცხოვრებისა. ყურადღების ღირსია, რომ ქ-ნ ნაკაშიძის კალამი ყველგან მტკიცე, ღონჯი და გრძნობით სავსეა.

(შემდეგი იქნება)

„კამენსკის ქარხნის მუშები ყოველთვის მშვიდი და წყნარი ხალხი იყო. ამის მიზეზი უმთავრესად ის იყო, რომ ქარხნის დაარსებიდანვე ქარხნის მთავრობა კარგად ეპყრობოდა მუშებს, ისმენდა იმათ თხოვნას, ყოველთვის მზად იყო მათი ჭირ-ვარამი მოესმინა და მათი ცხოვრების ძნელი პირობები გაეადვილებინა. „კამენსკის მუშები განათლებულნი არიან“-ო, ამბობდნენ სხვა ქარხნების მუშები. წარსულ წელს ქარხნის მთავრობამ რამდენჯერმე შესცვალა სამუშაო ფასი; ამაზე მუშებს ხმაც არ ამოუღიათ. შემდეგ მუშებს შორის რაღაც ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა დაიწყო. ამბობდნენ, მომხმარებელ საზოგადოების მაღაზიიდან ცუდ სანოვაგეს იძლევიანო, მაგრამ ამ ხმის სიცრუეს მალე დარწმუნდნენ და დამშვიდდნენ. მერე იმაზე დაიწყეს ლაპარაკი, რომ მუშების ჯანმრთელობა ექიმებმა ხელმეორედ უნდა შეამოწმონო. „თუ სამუშაოდ მიგვიღეს, ამბობდნენ მუშები, მაშასადამე ჯანსაღი ვიყავით და, თუ ეხლა ავადმყოფები ვართ, ისევ ქარხნის ბრალიაო“. 17 დეკემბერს ქარხანაში ახალ სამუშაო ფასის სია გამოაკრეს. მუშებს შორის ისევ მღელვარება დაიწყო და უფროსებს განცხადება გაუგზავნეს, თქვენთან მოლაპარაკება გვინდაო. რადგან ქარხნის მახლობელი მთავრობა იქ არ იყო, მუშებს არიგებდნენ, ცოტა ხანი მოიცადეთ, რადგან სამუშაო ფასი ახალ წლიდან შეიცვლებაო. ფასების დაკლების მიზეზად მუშებს უთხრეს: რადგან ახალი მაშინები მოვიტანეთ და ამასთან ეხლა კრიზისიაო, ამიტომ სამუშაო ფასიც უნდა დაგვეკლო და ზოგიც დაგვეთხოვაო. 21 დეკემბერს საღამოზე ქარხნიდან საყვირის ხანგრძლივი ხმა მოისმა. ყველა ქარხნის ეზოსკენ გაიქცა. ყველა ამბობდა, მუშებმა უწესოება დაიწყესო. ეზოში ღამის და დღის მუშები შეიკრიბნენ. მალე იქვე ქარხნის დირექტორი გუეევსკი, ინჟინერი სუტგრენი და ბოქაული მივიდნენ. დირექტორმა რომ აუარებელი ხალხი დაინახა, უთხრა, თქვენი კრება უკანონოა და დაიშალენითო. „ახალ ფასების შესახებ [illegible] ვაპარაკოთო.— მოისმა აქეთ იქიდან:—ჯვეითან არავის ლაპარაკი არ უნდა; საცხოვრებელი აღარა გვაქვს, თუნდ დაწექი და მოკვდი, სულ ერთია“. ინჟინერმა სუტგრენმა, რომელსაც მუშებს შორის დიდი პატივისცემა აქვს დამსახურებული, ხალხს დაშლა ურჩია. ბოქაულმაც ბევრი სთხოვა, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. დირექტორმა მუშებს ლაპარაკი დაუწყო და უთხრა: თუ დაიშლებით, სამუშაო ფასის სიას გავაუქმებო, და კედელზე გაკრული სია ჯოხით ჩამოაგდო. მუშებმა დირექტორს პატიოსანი სიტყვა სთხოვეს. ზოგმა ხელწერილი მოსთხოვა. დირექტორმა სიტყვა მისცა, მაგრამ ხელწერილის მიცემაზე უარი განაცხადა, რადგან მუშები ჩემს სიტყვას უნდა ენდნენო. მუშები დამშვიდდნენ და მზად იყვნენ დაშლილიყვნენ, მაგრამ ამ დროს მეორე ეზოზედაც ატყდა ხმაურობა. ქარხნის სხვა განყოფილების მუშები მეორე ეზოდან პირველ ეზოსკენ იწევდნენ. ღობეზე რომ ვერ გადმოვიდნენ, დიდი კარები დასწვეს და ამის შემდეგ ყოველივე აირია, ყველა ყვიროდა და ვერავინ გაარჩევდა, რას თხოულობდნენ მუშები. დირექტორმა და ინჟინერმა სუტგრენმა მუშების დამშვიდება სცადეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ყველამ ქვას და ჯოხს დაავლო ხელი და ქარხანას დაუშინა; ერთი ქვა მოხვდა დირექტორს, რომელიც ამის შემდეგ ეზოდან წავიდა. სუტგრენსაც მოხვდა თავში ქვა და კინაღამ წაიქცა, მაგრამ ის ქვა იმისთვის არ უსროლიათ, რადგან ამის შემდეგ მუშებმა სუტგრენის წინაშე ბოდიში მოიხადეს და ძლიერაც ნანობდნენ. ყველაზე ძლიერ ბოქაული დაშავდა. ამ საქმის თაობაზე 7 მუშა-წამქეზებელი დაიჭირეს.

✦ 1903 წლის დამლევს ხარკოვის ოლქის სასამართლომ სოფელ ანდრეიევკის გლეხების საქმე გაარჩია. გლეხები ხაზინას 14.962 დესეტინა მიწას და ტყეს ედავებოდნენ. გლეხები თხოულობდნენ: 1) ზემოხსენებული ადგილი გლეხებს დაუბრუნდეს; 2) ეს ადგილი სახელმწიფო გადასახადისაგან განთავისუფლდეს და 3) ხაზინამ საქმის წარმოების და სასამართლოს ხარჯები გადაიხადოს. სასამართლომ გლეხების მოთხოვნილება კანონიერად სცნო. ამ დავის მნიშვნელობა შემდეგიდან სჩანს: მარტო ხარკოვის გუბერნიაში გლეხები ხაზინას 800 ათას დესეტინა მიწას ედავებიან. 200 ათას დესეტინას კურსკისა, ვორონეჟისა, ყაზანისა და სამარის გუბერნიებში ედავებიან. თუ უმაღლესმა სასამართლომაც გლეხების დავა კანონიერად სცნო, ხაზინამ გლეხებს 1 მილიონი დესეტინა მიწა უნდა დაუთმოს და 10 მილიონი მანეთი გლეხებისაგან გადასახადი. ამ მიწების სახელმწიფო გადასახადი ისევ გლეხებს უნდა დაუბრუნოს.

# ტფილისის ქალაქის საბჭო

## 19 იანვარი

მთელი სხდომა თითქმის ერთ საგანს მოანდომა საბჭომ გუშინწინ. ამ რამდენისამე დღის წინად ჩვენ გვქონდა დაბეჭდილი, რომ 12 ხმოსანმა განცხადება მისცა ქალაქის მოურავს: ავჭალაში წყლის დასაწმენდების (ფილტრების) აშენება შეაჩერეთ და ეს საკითხი საბჭოს მოახსენეთ, რომ საბოლოოდ დაადგინოს: რას უნდა მოხმარდეს 50 ათასი მანეთი, რომელიც საბჭომ წყლის დასაწმენდების ასაშენებლად გადასდო —ერთხელვე და სამუდამოდ აშენებულ დასაწმენდებს, თუ ნაწილს ამ დასაწმენდებისას იმ იმედით, რომ მომავალში გამგეობამ კიდევ მოსთხოვოს საბჭოს დამატებითი ფულები, მერე ვინ იცის რამდენიო.

მოკლედ რომ გამოვსთქვათ, საქმე აი როგორ არის: შარშან ნოემბერში საბჭომ 50 ათასი მანეთი გადასდო ავჭალაში დასაწმენდების ასაშენებლად. იმ ხანებშივე ტფილისს ჩამოვიდა რუსეთიდან ინჟენერი ზიმინი, რომელსაც ქალაქის გამგეობა დაეკითხა ამ საქმის თაობაზე. ამ ინჟენერს ავჭალა დაუთვალიერებია და შეუდგენია პროექტი წყლის დასაწმენდებისა, მაგრამ ისე, რომ ხარჯი 50 ათას მანეთზე გაცილებით მეტი უანგარიშნია. მერე მეორე პროექტი შეუდგენია წყალსაყვანის გამგეს ინჟენერს ლისიციანს, რომელსაც ისე უანგარიშნია, რომ 50 ათას მანეთად აშენებულის დასაწმენდებით 500 ათასი ვედრა წყალი დაიწმინდოს დღეში, მაშინ როდესაც ბ-ნ ზიმინის პროექტით დასაწმენდები 75 ათასი მანეთი ეღირება და მხოლოდ 300 ათას ვედრას დასწმენდსო.

შარშან 19 ნოემბერს შეერთებულმა სხდომამ გამგეობისა და საბჭოს კომისიისამ დაადგინა: საბჭოს მიერ გადადებულის 50 ათასის მანეთით აშენდეს ავჭალაში ინჟ. ლისიციანის მიერ შედგენილის პროექტით დღიურად 500 ვედრო წყლის დასაწმენდები.

შემდეგ ამისა გამგეობის სააღმშენებლო განყოფილებას განუხილავს ბ-ნ ლისიციანის პროექტი და შეუძლებლად უცვნია ამ პროექტით დასაწმენდების აშენება, რადგან ბევრი შეცდომები აღმოუჩენია იქ. ამის შემდეგ გამგეობის წევრს ბ-ნ ტ. ა. ენფიანჯიანცს შემდეგი წინადადება შეუტანია გამგეობაში: რადგან ბ-ნ ლისიციანის პროექტი ცუდად გადასხვაფერებული სისტემაა უცხოელის პეშისაო, უკეთესი იქმნება თვითონ ბ-ნ პეშს მივმართოთ და შეგვიდგინოს პროექტი ისეთის დასაწმენდებისა, რომელიც მართლა ღირს-საყურადღებოცა და უფრო გამოსადეგიც იქმნება ქალაქისათვის, რადგან მილის წყალი ამ სისტემით ყოველის მხრით ნამდვილად დაწმენდილი გვექმნებაო, მაშინ როდესაც ბ-ნ ლისიციანის პროექტით 50 ათას მანეთს დავხარჯავთ და კარგად დაწმენდილს წყალს ვერ მივიღებთო. მაგრამ საქმე ის არის, რომ ბ-ნ პეშის პროექტით აშენებული დასაწმენდები 50 ათას მანეთზე ბევრად უფრო ძვირად დაჯდება. აი, ეს საქმე ამ თვის 11 რიცხვს განუხილავს შეერთებულ სხდომას გამგეობისას და საბჭოს კომისიას, ყველა ტეხნიკოს ხმოსნების თანადასწრებით. ამ შეერთებულ სხდომას აუწონ-დაუწონია საქმე და ერთხმად დაუდგენია: უკეთესი იქმნება ავჭალაში დასაწმენდების პროექტის შედგენა თვითონ ბ-ნ პეშსა ან იმის წარმომადგენელს ინჟენერს შაბალს მივანდოთ; ბ-ნ ლისიციანის პროექტი-კი დარჩესო.

ამის მიხედვით გამგეობას დაუდგენია: 1) მივანდოთ ინჟენერ შაბალს პეშის სისტემის დასაწმენდების პროექტის შედგენა და ამისათვის გადაიდოს 20 ათასი ფრანკი (7 ათასი მანეთი); 2) ვსთხოვოთ ბ-ნ შაბალს, რაც შეიძლება ჩქარა შეგვიდგინოს ეს პროექტი და ამისათვის ყველა საჭირო მასალა ეხლავე გავუგზავნოთ მას; 3) ვსთხოვოთ, პროექტი 500 ათასი დღიური ვედროსი შეადგინოს, მაგრამ ისე, რომ დასაწმენდების საერთო მოწყობილობა ეხლავე აშენდეს და კერძო დასაწმენდები ინგლისურის სისტემისა, რამდენიც შესაძლებელი იქმნება ამ თავით 43 ათას მანეთისაო, მხოლოდ იმნაირად-კი, რომ შემდეგში ამ დასაწმენდებს კიდევ მივუმატოთ იმდენივე, რომ საბოლოოდ 500 ათასი ვედრა წყალი დაგვიწმინდოს დღეში იმ კვალობაზე, როგორც საბჭო ფულს გამოიღებს ამ საქმისათვისაო; 4) ვსთხოვოთ ინჟენერ შაბალს, ჯერ საერთო პლანი გამოგვიგზავნოს, რომ მიწის მუშაობას ამ თავითვე შევუდგეთ და 5) გამგეობის სააღმშენებლო განყოფილება ეხლავე შეუდგეს და შეამზადოს დასაწმენდებისათვის საჭირო მასალები: ქვიშა, კენჭები და სხვა.

ნაშუალამევის პირველი საათი შესრულდა, საბჭომ დაამტკიცა ზემომოყვანილი დადგენილება გამგეობისა.

ელექტრონით განათებისათვის სადგურის აშენების საკითხი, რომლის შესახებ ხმ. გ. გ. კირაკოსოვმა განცხადება მისცა ქალაქის მოურავს, და აგრეთვე გამგეობის დადგენილება შესახებ იმისა, თუ სად უნდა აშენდეს საელექტრონო სადგურიო—საბჭომ დაადგინა: ორივე ეს საკითხი ჯერ ყველა ხმოსანტეხნიკოსებმა განიხილონ და ორის კვირის განმავლობაში საბჭოს მოახსენონ თავიანთი აზრიო.

* * *

# წერილი სამეგრელოდან

## უექიმობა

სენაკის მაზრა, რომელიც შეიცავს 1,510 ოთხ-კუთხ ვერსს და 130 ათასამდის მცხოვრებს, უექიმობით აუწერელ მდგომარეობაშია ჩავარდნილი. მართალია, მაზრას ჰყავს ორი ექიმი,—მაზრის ექიმი, რომელიც ცხოვრობს ახალ-სენაკში, და სოფლის ექიმი, რომელიც განაგებს მარტვილის სასოფლო საავადმყოფოს, მაგრამ რას გასწვდება ორი ექიმი ამისთანა უზარ-მაზარ მაზრას და ასოცდაათათასს მცხოვრებსა, რაც უნდა წმინდა აზრებითა და მისწრაფებებით გამსჭვალულნი იყვნენ ისინი. აქვე უნდა შევნიშნოთ მათდა სასახელოდ, რომ ორივე ექიმი, ჩვენი თანამემამულენი; დიდს კაცთმოყვარეობას იჩენენ და შრომის მცირე სასყიდლითაც კი არ იზოგავენ თავისს ძალღონეს, რათა ხალხს მოახმარონ ცოდნა-გამოცდილება. ექიმების ნაყოფიერ ზედგავლენასა და თვალ-ყურის გდებას მოკლებული, რა გასაკვირველია, თუ ხალხი ისევ ძველებურად, მამაპაპურად ებრძვის სხვა და სხვა ავადმყოფობას, უკეთ—ხელს უწყობს მათს გავრცელებას „ხვამა“-თი (ლოცვა-სალოცავებით), მეტადრე მთაში, სადაც ზოგიერთს არც კი გაუგონია, თუ სადმე არსებობს ექიმი. უვიცობით გარემოცული და უექიმობით შეწუხებული მეგრელი ისევ ძველებურად, ძველებურად უოველს შემოდგომაზე ღვინით ავსებს სალოცავს ჭურებს და „ხვამას“ პირნათლად ასრულებს, რათა ამ საშუალებით უზენაეს ძალთა გული მოისყიდოს და მით თავიდან აიშოროს მათ მიერ სიკვდილით, თუ ავადმყოფობით, სხვათა შესაშინებლად და სამაგალითოდ მისი დასჯა. ამ „ხვამებში“ ხელოვნურად გადახლართულია ქრისტეს მოძღვრება და წარმართობის ლოცვა-ჩვეულებანი. უნდა განვმარტოთ, რომ დღეს მათი ძალა და მნიშვნელობა შესამჩნევად შესუსტებულია, მეტადრე ბარად, ქალაქებისა, თუ რკინის გზის სადგურების ახლო მდებარე სოფლებში, თუმცა დღეს მთლად არც აქ გამქრალა „ხვამა“. არამც თუ გლეხ-კაცობა, ზოგიერთი მღვდელიც კი ერთგულად მისდევს იმას ასრულებას, „რადგან,—ამახსნა ერთმა ნაცნობმა მღვდელმა,—ერთხელ დანაპირების აუსრულებლობა დაუსჯელად არ ჩაუვლის ადამიანსაო“.

შთარული ავადმყოფობანი, მაგალითად, ყვავილი, ხუნაგი და სხვა, ჩვენში „ბატონებადაა“ აღიარებული და იმათ წინააღმდეგ წამლით ბრძოლა ადათით ხომ აღკრძალულია. წრეულს შემოდგომასა და ზამთარში ძლიან გახშირებულია სენაკის მაზრაში ყვავილი და „ქუნთრუშა“. მაგრამ ხალხმა თითქმის წამალი არც კი მიაკარა, თუ ძალა არ დაატანეს, და ამის გამო დიდი მსხვერპლიც მოჰყვა. მიუხედავად ზემორე თქმულისა, ხალხში დღით-დღე იზრდება შეგნება წამლისა და ექიმის საჭიროებისა, მაგრამ საჭირო დროს ვის მიჰმართონ? ექიმები ხომ არ არიან, არც შეგნებული ფერშლები არიან ჩვენში, და, დახე ბედის უკუღმა ტრიალს, კარგს და გამოცდილს ფერშლებსაც ბინადრობა იქა აქვთ, სადაც თვით ექიმებს. მართალია, ჩვენს მოზრდილ სოფლებში გამრავლდნენ ფერშლის სახელით საეჭვო პირნი: თუ ვინმე ოდესმე ყოფილა „გამოჩენილ“ ექიმთან ხელზე მოსამსახურედ, მეჯინიბეთ და ლათინური ანბანი შეუთვისებია, ყველას თავი ფერშლად მოაჩნია: მიჰქოლია და ბედშავ ხალხს ატყუებს, აქაო და ჩემი პატრონის მეთოდი შეთვისებული მაქვსო, და ასე გასინჯეთ, ამისთანა „გამოჩენილს ფერშლებს“ „ტელეგრამითაც“ კი იბარებენ ერთი მაზრიდან მეორე მაზრაში! აქედან ნათლად ჰხედავს მკითხველი, თუ რა დიდი მნიშვნელობა მოუპოვებიათ იმათ ხალხში. თუ რა ავლა-დიდებით არიან შეჭურვილნი ეს ვაჟბატონები, ქვემორე მოყვანილ „რეცი“-დანაც ცოტაოდენ გაითვალისწინებს მკითხველი. აი ამ რეცეპტის რუსული წარწერა: „по Съ столу лОжКу череЗыъ часуъ длія гоСпода дГебуадзеъ. Фершель Н—швили!!“. შეიძლება მიბრძანოთ, მართლწერით არ გაიზომება ცოდნაო. ოღონდაც, მაგრამ... უღმობელი სიკვდილი სხვა და სხვა ავადმყოფობითა, მეტადრე მაღაირიით წელში გამაგრებული უმოწყალოდ სცელავს და სცელავს სალოდავს ხალხს, შველა და დახმარება კი არსით არა სჩანს. მართალია, ერთ დროს აქ ხმა გავრცელდა, ვითომ მეორე სასოფლო-საავადმყოფოც უნდა გახსნილიყო სენაკის მაზრაში, მაგრამ ამ ხმამაც ჩაილურის წყალი დალია. ჩემის აზრით, უმჯობესია ისევ თავისს ძალ-ღონეს მიჰმართოს ხალხმა და თავისს თავს თვითონვე უშველოს. შეერთება დიდი ძალაა და სწორედ ამ ძალას შეუძლიან ჩვენი ხალხი საწადმართო გზაზე გამოიყვანოს ამ შემთხვევაშიაც: სრულიად ადვილად შეუძლიანთ სამ-ოთხს ახლო მდებარე საზოგადოებას ერთად შეერთდნენ და საკუთარი საავადმყოფო დააარსონ გახეთისა, თუ სოფელ დიდი ჯიხაიშის მსგავსად. მე მივმართავ ყველა იმ შეგნებულ პირთ, რომელთაც რაიმე დამოკიდებულება აქვსთ სოფელთან, თავისი ძალ-ღონე ამ საქმეს მოახმარონ; დარწმუნებული ვარ, საქმეც ადვილად მოჰგვარდება. ხალხი არც ისე უგუნურია, რომ ამ შემთხვევაში ხელი არ გაუწოდოს თავისს კეთილს მრჩეველს. დიახ, დროა სხვის ხელში შეყურებასა და ნაცარქექიობას თავი დავანებოთ და საქმეს მუყაითად ხელი მოვკიდოთ. მაღლა ცაში მფრინავ წეროს მზერა ჩვენ არ გვარგებს: ისევ თავმან და მარჯვენამან ჩვენმან ჩვენ გვიხსნას.

ჰამუთ-ბეი

* * *

# წერილი კახეთიდან

რა მოჰყვა ახალ წელიწადს?—ბანქო და ქურდობა, როგორც გადამდები სენი.—ხორცის მხიდავი ვირები და ხორცის მხმარებელნი ერთს ფეროლში.—დანაკარგის საძებრად კვალის შეცვლა.—მეეტლეების უცნაური არზა და მისი უცნაური შედეგი.—თელავში გამომცხვარი ოპოზიცია „კახეთის საზოგადოების“ გამგეობის მოქმედებათა დასათესებლად.

შემოდგა ფეხი ახალმა წელმა კახეთში და თან მრავალი უცნაურობა მოიტანა: აქნობამდის კახეთში მოგზაურს ეგონება მკათათვეაო, მტვერი აზდის გზებსა, გამშრალია ყველაფერი: ტყე, მინდორი, ვენახი, ჯიბე, უბე და სხვ. სისველე მარტო ქვევრებშიღაა, მაგრამ ეს სისველე პატრონს არ ახარებს, იმას ერჩივნა ამ დროისათვის ქვევრები გამშრალი ჰქონოდა და ვენახ-მინდორი სველი. აქნობამდის სოფლელები მიდიოდნენ თელავს ბანქოს სათამაშოდ და ხშირად სხვა და სხვა სავაჭროსათვის გამოტანებულ ფულს ბაკარასა ან სხვა თამაშობაში აგებდნენ, ახლა უკუღმაა, თელაველები მიდიან სოფლებში ბანქოს სათამაშოდ. თვით სოფლელნი შეეჩვივნენ ბანქოს თამაშობას; თამაშობს დიდი და პატარა, ერი და ბერი, ქუდოსანი და მანდილოსანი,—გაურჩევლად წოდებისა და სქესისა. ბევრჯელ ძუძუთა ბავშვის დედას ნახავთ, ცალ ხელში ბავშვი, მეორეში სათამაშო ქაღალდი უჭირავს და ერთისა მთელის ღამეობით. ზოგიერთ სოფელში ისეა გახშირებული ბანქოს თამაში, რომ იქ ახალი ქაღალდი უფრო ბევრი იხსნება, ვიდრე ახალი გაზეთი ან ჟურნალი. მეცნიერებს უკვირთ აფრიკაში ძილი გადამდებ სნეულებად როგორ გარდაიქცაო; იმ დაღოცვილებმა ის გამოიძიონ, ბანქოს თამაში ქურდობა გადამდებ სნეულებად როგორ გადაიქცა, უფრო კი მანდილოსნებში, ძილს კი შეიძლება ბაცილები ჰყავდეს და ამ გაჩაღებულს, შორად თვალსაჩინო, ქურდობას ხომ ბაცილები არა ჰყავს! რა არის მიზეზი, რომ მოთამაშეთა უმრავლესობა ამით არის ავად? აქნობამდის თელავის ყასბები სასაკლაოდან (საყასბოდან) ხორცის დუქნებში ვირებით ეზიდებოდნენ ხორცს, ახლა-კი, რაც ეს წელიწადი დადგა, ხორცს სასაკლაოდან თვით მხმარებლები ეზიდებიან: გაიგებენ თუ არა, დღეს კარგი დეკეული დაუკლავთო, მიდიან, იქვე სადახს ამოადებინებენ, რა ნაჭერიც ჰსურთ და მოაქვთ ხორცის დუქანში ასაწონად. ცხადია, ეს ახალი წესი ვირებისათვის სასარგებლოა, დაისვენებენ, მაგრამ თუ სხვა ვისთვისმე საზარალოა, მაგისი რა მოგახსენოთ. აქნობამდის ოთხ-ფეხ საქონლის დამკარგველი სოფელსა, ტყესა და მინდორში ეძებდა დანაკარგსა, ახლა-კი ქალაქებსა და იმის სასაკლაოებში ეძებს, თუ დამწყვდეულ პირუტყვებში არ აღმოჩნდა, ტყავებში დაეძებს. ამბობენ, ამისთანა მაძებარნი ეფრო მარდად ჰპოულობენ დანაკარგსაო. აქნობამდის თვითო ორ-ოლა ეტლი დამდამობით მორიგეობდა, ხშირად გაჭირვებულ ავადმყოფის პატრონი ექიმს წაიყვანდა დროზე და სხვა. ახლა მეეტლეებმა მორიგეობაზე უარი განაცხადეს თურმე, თანაც სათანადო მთავრობას მიართვეს არზა, რომელშიაც სჩივიან, ღამე ზოგიერთი რაინდები გვატარებენ და ფულს-კი არ გვაძლევენ, ჩვენ შემოვირბენთ ხოლმე ქუჩებს და ვერსად ვპოულობთ გზირებს (გოროდოვოებს), მივდივართ ბოქაულთან, რომ შევჩივლოთ ჩვენი გაჭირვება, იმის კარებზე მდგომი გზირი არ გვიშვებს, სძინავს, შეწუხება არ შეიძლებაო; მივდივართ უფროსთან, იქაც კარებზე გზირი გვეღობება, უდროვოდ შეწუხება არ შეიძლებაო. ამნაირად ჩვენი შრომა იკარგება და ტყუილად რისთვის დავხოცოთ ცხენებიო. სანამ ჩვენი ინტერესის დამცველი არ გაჩნდება, ჩვენ ღამე აღარ ვიმუშავებთო. სწორედ უცნაური ხალხია ეს ჩვენი მეეტლეები, უცნაური არზაც დაუწერნებიათ და უცნაური შედეგიც მოჰყვა. როგორც ამბობენ, დიდის თავგამოდებით დაეძებენ არზის დამწერსაო. მე-კი

მაჩაბელზე და ურიაზედ ნათქვამს მაგონებს ეს ამბავი და თქვენი-კი რა მოგახსენოთ.

აქნობამდის რაკი „გაზეთის საზოგადოების“ კრების დრო მოახლოვდებოდა, თელავში, შინ და გარედ, განსაკუთრებით „ბულვარზედ“ ასტყდებოდა ხოლმე კამათობა საზოგადოების გამგეობის მოქმედებაზედ, ყოველთვის გამგეობის მომხრენი უმრავლესობას შეადგენდნენ, ოპოზიცია-კი უმცირესობას. ახლა-კი საქმე უკუღმა დატრიალდა: ამ კამათში უმრავლესობა ოპოზიციისაკენ არის, გააქვს და გამოაქვს გამგეობის ეს თუ ის მოქმედება. ყველაზედ მეტად იკიცხება გამგეობის მოქმედება თელავში ბიუროს დაარსების შესახებ. რასაკვირველია, გამგეობის მოქმედებასთან ერთად ბიუროს შესახებ თვით ბიუროს მოსამსახურენიც იკიცხებიან, რადგან ზოგიერთ მათგანს მრავალი, სხვა-და-სხვა დანაშაულება ედებათ და სხვათა შორის გაფლანგვა დასარიგებლად გამოგზავნილ შაბიამნისა და გოგირდისა. ამასთან დიდ საქმის მართვა-გამგებლობაში, როგორც „კახელ მევენახეთა საზოგადოების“ საქმეა, შიგ ჩახედვა, გაჩხრეკა, გამოძიება, სამართლიანი დაფასება, ერთის სიტყვით, რიგიანი, შენ-ჩემობას დაშორებული, წარმატების მოსურნე, საქმის შემგნებელი, ცოდნით შეიარაღებული და საკამათო საგნებზე საბუთებით ჩაწყან-აბჯრიანი ოპოზიცია დიდად და დიდად საჭიროა ღრმად თანაგრძნობას, საქმის გულმტკივნეულობას ამისთანა ოპოზიცია გაუწევს საზოგადოებას, ბევრს ავს აცილებს და ბევრს კარგს შეიტანს მართვა-გამგებლობაში და არა ისეთნი, როგორნიც არიან ხოლმე. მაგ. ერთმა დიდის ხმით და ზეიმით დაიწყო დამტკიცება შაბიამნის რაოდენობაში მომატყუესო, მოწამეც დაასახელა, მამასახლისისაგან შედგენილი ოქმიც წარმოადგინა; ერთის სიტყვით, ყოველივე ღონე და საშუალება იხმარა დასამტკიცებლად იმისა, რომ ნაკლები შაბიამანი მისცეს, ვიდრე დააწერეს, ხოლო არ იცახა რამდენი აწერია. როცა მჭევრმეტყველობით გაიდაღა, მაშინ უთხრეს, თქვენ ჰნახეთ, რამდენი აწერიათო? არაო. აღმოჩნდა, იმაზედ დაწერილ შაბიამნის რაოდენობა რამდენისამე გირვანქით ნაკლები იყო, ვიდრე ამისაგან, მამასახლისისაგან და სხვებისაგან შემოწმებულ შაბიამნის რაოდენობა. იძულებული გახდა ბოდიში მოეხადნა. აბა, ამისთანა ოპოზიცია რა საქმის გამკეთებელია? წინააღმდეგ, ამან ბევრით გააფუჭა საქმე. რა თქმა უნდა, ტფილისსა და კახეთში მრავალჯერ და მრავალგან სთქვა, თანაც მამასახლისის ოქმი აჩვენა, რომ დამრიგებელი შაბიამანს გვპარავსო. მრავალი დააჯერა და მათი გადაჯერება ისე ადვილი აღარ არის, ბევრნი მათგანნი კრებებზე არ ესწრებიან, ბევრნი ავს უფრო ჯერებენ, ვიდრე კარგსა და ვინ მოსთვლის, რამდენი მიზეზია იმისა, რომ მრავალნი ახლაც დაჯერებულნი არიან იმაშივე. ამასთან ნუ დაივიწყებთ, რომ კრების წინაშე მომჩივანს თვითონ ეწერა ხელი წაღებულ შაბიამნის რაოდენობაზე. ვფიქრობ, ვაი თუ ამისთანავე უცნაური და უსუსური გამოდგეს თელავში აწ უკვე გამომცხვარი ოპოზიცია! ჩემის მხრით ვუსურვებ, რომ ყოველ აძრულ საკითხის შესახებ ჯეროვანი საბუთები ჰქონდეს შეკრებილი, არ ამყარებდეს ნათქვამს მითქმა-მოთქმაზე, შენ-ჩემობაზე, დიდ-პატარაობაზე. დარწმუნებული ვარ, როცა ჯეროვნად იქნება დასაბუთებული ოპოზიციის კრიტიკა ამა თუ იმ მოქმედებაზე, საზოგადო კრება ყურადღებით მოისმენს და საჭირო ცვლილებას მოახდენს; გამგეობასაც მოსთხოვს დაგმობილ მოქმედების უარყოფას, რომ იგი ყველა აღნუსხულ ავისაგან იქმნას მომავალში. ვიმეორებ, ამისთანა და მხოლოდ ამისთანა ოპოზიცია დი სარგებლობას მოუტანს „კახელ მევენახეთა საზოგადოებას“.

**ნადიკვრელი**

# სასამართლო

I

ხვალ, 22 იანვრისათვის, ტფილისის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნულია საქმე ხონის მცხოვრების მიხეილ მჭედლიშვილისა, ონის მცხოვრებ ვასილ იაშვილისა, ტფილისის მოქალაქის მიხეილ კომახიძისა, სენაკის მაზრისა ილია კიზირიასი და ტფილისის მოქალაქის არტემ მარტიევისა. პირველს ოთხს ჰბრალდება ერთმანეთთან შეთანხმებით 1902 წ. 17 ივნისს პუშკინის ქუჩაზე ტფილისის საკრედიტო საზოგადოების შესავალ კარებში 15,750 მან. წასართმევად ტფილისის ვაჭრის ტურნჯი ვლასოვის თავს დაცემა და 750 მან. წართმევა, ხოლო მეხუთეს მარტიევს ისა ჰბრალდება, რომ მან დაიყოლია სხვა ბრალდებულნი, ეს ბოროტმოქმედება ჩაედინათ.

II

ხვალ, 22 იანვრისთვის, ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე სენაკის მაზრის მცხოვრებთა ბათული ხუბულავასი, ჩუდუ ხუფერიასი და ევგენი შენგელიასი, რომელთაც ცხონდიას ქალის მოტაცება ჰბრალდებათ.

III

ამ დღეებში ტფილისის ოლქის სასამართლომ განსახილველად მიიღო საქმე ქალაქ ახალ-ქალაქის მცხოვრებთა არტემ აბაჯევისა და მარქარ ავეტისოვისა, რომელთაც ახალ-ქალაქის საქალაქო სასწავლებლის დაწვის განზრახვა ჰბრალდებათ.

IV

27 იანვრისთვის ტფილისის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნულია საქმე ტფილისის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტის არ. ფურცელაძისა, რომელიც ტფილისის საბჭოს ხმოსანს ბუდდანოვ-ბაღდასაროვს ცილის დაწამებას უჩივის.

# დაბა-სოფლები

—

**ბახვი** (გურია), სამი წელიწადია ჩვენ სოფელში არსებობს მომხმარებელი საზოგადოება, და დიდი სამსახურიც მიუძღვის, როგორც შეძლებულის, ისე ღარიბ მცხოვრების წინაშე. ამ საზოგადოების საწვრილმანო დუქნიდან ქალაქის მაზანდაზე იყიდება საქონელი და, მოგეხსენებათ, ეს-კი დიდად სასარგებლოა სოფლისათვის. სამწუხაროა ის არის, რომ წინსვლის ნაცვლად უკან-სვლა ეტყობა. პირველად საწვრილმანო სავაჭრო მოათავსეს გიორგი ჯინჭარაძის დუქანში. ერთხანად კარგად აწარმოებდნენ საქმეს, მაგრამ ეს ერთი წელიწადია ჯინჭარაძემ აღარ ისურვა საქმის წარმოება და არც სახლი დაუთმო, რის გამო ეხლა ხსენებული სავაჭრო ბიბლიოთეკის შენობაშია მოთავსებული და უწინ თუ ყოველნაირ საქონელს აწვდიდა მსურველს, ეხლა იმის ნახევარიც არ მოეპოვება. ამ გარემოებას უსათუოდ ყურადღება უნდა მიაქციონ წევრებმა და საქმე როგორმე გამოაკეთონ.

**გ. ანეტაშვილი**

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 **იანვარი**

**სტამბოლი.** საერობო კრებამ გადასწყვიტა, დამწვარ პურის ზარალი გადაიხადოს იმ ფასით, რა ფასშიაც იყო დაზღვეული.

**ბელოსტოკი.** ებრაელთა საზოგადოების წარმომადგენლებმა გადასწყვიტეს, საკომერციო სასწავლებლისთვის სადგომის ასაშენებლად გადასდონ 40.000 მან. ამდენივე ფული ებრაელთა სახელოსნო სასწავლებლის სადგომის ასაშენებლად გადასდეს.

**ასტრახანი.** ალკოჰოლიკთათვის საავადმყოფო გახსნეს.

**პორტ-არტური.** („რეიტ. სააგ.“) ლიასანისა და მდინარე ალუს შუა რკინის გზას დიდი მოთხოვნილება წარუდგინეს, რომელიც სათადარიგო ჯარის და რეკრუტთა გადაყვანას შეეხება. ეს ჯარი ილუსკენ გაჰგზავნეს. ოფიციალურ წრეებს ჯერ კიდევ ომის ატეხა აფიქრებთ.

**ჩიფუ.** („რეიტ. სააგ.“) წარსულ კვირას იაპონიის ფლოტის სათადარიგო ჯარის მობილიზაცია მოხდა. საიდუმლოდ მობილიზაცია მოახდინეს აგრეთვე პირველ ხარისხოვან სათადარიგო ჯარის ნაწილისა. ყველა უბრალო მუშად არის ჩაცმული და დანიშნულ ადგილას მიდის. ამ ჯარის დანარჩენმა ნაწილმა ბრძანება მიიღო, მზად იყავითო. 40 სატრანსპორტო გემი კუმამოტოს დივიზიით მზად არის ტაკემიკაში წავიდეს და კორეას თავს დაეცეს.

**სოფია** (ოპოზიციის წრეებიდან). მცოდნე წრეები ჰფიქრობენ. ოსმალეთისა და ბოლგარიისაგან ერთმანეთის გამტყუნება უფრო სერიოზულ ამბებს გამოიწვევს, ვიდრე სოფელ პირომინოვოში მომხდარი შემთხვევაო. მთავრობა ოსმალეთის მუქარასა და მზადებას აღნიშნავს და თავის ვალად სთვლის შესაფერად მოემზადოს.

**ლისაბონი** („რეიტ. სააგ.“) მინისტრ-პრეზიდენტს შეეკითხნენ, ხმა დადის, ვითომ მთავრობამ რუსეთის სამხედრო აგენტებს სამხედრო გემები მიჰყიდაო. მინისტრ-პრეზიდენტმა მიუგო, ამის შესახებ რუსეთისგან არავითარი თხოვნა არ მიგვიღიაო.

**ტოკიო** („რეიტ. სააგ.“) ლონდონში გავრცელებული ხმა, ვითომ პეტერბურგში მყოფმა იაპონიის ელჩმა კურინომ ტოკიოში რუსეთის მტრული პასუხი გადასცაო, სიმართლეს მოკლებულია.

**ბორისოგლებსკი.** დიდმნიშვნელოვანმა პატიმარმა ნელიუბოვმა საპყრობილეს ფანჯრის მოაჯირი გასტეხა და გაიქცა.

20 **იანვარი**

**პეტერბურგი.** საგზაო მინისტრი, უმაღლესის ნებართვით, ციმბირისა და ზაბაიკალის რკინის გზების დასათვალიერებლად წავიდა. მიმდინარე საქმეების წარმოება თავისს ამხანაგს მიასოედოვ-ივანოვს მიანდო.

**სტამბოლი.** აქ ჩამოვიდა გენერალი ჯიორჯიო ორის იტალიელ ოფიცრის თანხლებით.

**ბერლინი.** გერმანიის უფროსი კონსული დეპეშით იტყობინება, რომ მდინარე ორანჟეზე გოტენტოტები დაგვნებდნენო.

**ბუენოს-აირესი.** ოფიციალად იტყობინებიან, რომ მთავრობის ჯარები ქალაქ სან-რამონთან დამარცხდნენო.

**ჰამბურგი.** სვაკოპმუნდს მოვიდა გემი „ემილია ვერმანი“, იარაღებითა და საომარ სურსათით დატვირთული; ექვსი უნტერ-ოფიცერიც თან მოჰყვა.

**რომი.** ინგლის-იტალიას შორის შეთანხმება სამედიატორო სამართლის დაარსების შესახებ დაამტკიცეს.

**ბელგრადი.** ტყუილია ის ამბავი, ვითომ ვრანიოსა და სერბიის სხვა ადგილებში დინამიტებსა და ყუმბარებს ამზადებდნენ. ოსმალეთი ამ ამბავს განგებავრცელებს, რომ ევროპიელებს აზრი შეაცვლევინონ სერბიის საზღვრებზე ჯარების შეკრების შესახებ და კოსოვის ოლქში მხეცურ მოქმედებაზე პატიება გამოიწვიონ ევროპიელთა მხრით. სერბიის მთავრობა თავის აზრს მტკიცედ ადგას და ისეთ გზას არ დაადგება, რომ ახალ რეფორმების დამცირება შეეძლოს.

**რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი**

# გამოსადეგი ცნობანი

—

**პეტერბურგის ბირჟა, 16 იანვარი**

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონისაზე 10 გირვ. სტ. | 94,15 | |
| ბერლინისაზე 100 მარკაში | — | |
| პარიზისაზე 100 ფრანკში. | — | |
| ლონდონისაზე ჩეკები | 94,95 | |
| ბერლინისაზე „ | 46,30 | |
| პარიზისაზე „ | 37,72½ | |
| ბირჟის დისკონტი | 5-6½% | |
| 4% სახელმწიფო რენტა | 98 | გაყ. |
| 4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. | — | |
| 4½% შინაგანი სესხი 1903 წ. | — | |
| 4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ. | 95⅛ | მყიდ. |
| 5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ. | 405 | „ |
| 5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1366 წ. | 322 | „ |
| 5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ. | 271 | „ |
| 5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ. | 90⅞ | „ |
| 4½% ობლ. იმავე საზოგად. | 83¾ | |
| 5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ. | — | |
| 5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ. | 92¼ | „ |
| 4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა. | — | |
| 6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა. | — | |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | 91 | „ |
| ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია. | 224½ | „ |

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

**15 ოქტომბრიდან.**

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბაქოს:** 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 4 ს. 30 წ. (5 ს. 28 წ.); 2) საფოსტო № 4 ღამის 12 ს. 10 წ. (1 ს. 8 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 36 წ. (7 ს. 34 წ.).

**ბათუმს:** 1) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 30 წ. (6 ს. 28 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

**ერევანსა და ყარსს:** 1) საფოსტო № 74/75 ღამის 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.); 2) საქონლ.. სამგზ. № 90/91 შუადღის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.)-

**ბორჯომს.** სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს) საღამოს 7 ს. 4 წ. (8 ს. 2 წ.); საფოსტო № 3 საღამოს 4 ს. 40 წ. (5 ს. 38 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.).

**ბათუმიდან:** საფოსტო № 4 დღის 11 ს. 25 წ. (12 23 ს. წ.); სამგზავრო № 6 ღამის 9 ს. (9 ს. 58 წ.).

**ერევან-ყარსიდან:** საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

**ბორჯომიდან:** სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

**ბ) ბაქოდან გამოდის:**

**ტფილის-ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერჯელ კვირაში) ღამის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.); 2) საფოსტო № 3 ღამის 10 ს. 30 წ. (11 ს. 28 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 50 წ. (1 ს. 48 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 3 ს. 10 წ. 4 ს. 8 წ.).

**გ) ბათუმიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) საფოსტო № 4 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. 34 წ. (9 ს. 32 წ.).

**შორაპნამდე:** სამგზ. № 10 ღამის 12 ს. 7 წ. (1 ს. 5 წ.).

**დ) ქუთაისიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) სამგზ. № 103 ღამის 3 ს. (3 ს. 58 წ.); 2) შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.).

**ბათუმისაკენ:** 1) სამგზ. № 101 ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) სამგზ. № 107 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 3) სამგზ. № 109 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

**შორაპნამდე:** № 11/12 ნაშუადღევის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

# განცხადებანი

## აფხანაურის სანერგე
## ამერიკულ ვაზისა

მიხრან ალ. ანანოვისა. იყიდება ერთის წლის ფესვიანი ვაზები, ამერიკულ ვაზებზე დამყნილი როგორც ადგილობრივ, ისე ფრანგულ ჯიშისა, იყიდება აგრეთვე ამერიკულ ვაზის რქა და გიბრიდები.

აქავე შეიძლება მსურველმა შეუკვეთოს სხვა-და-სხვა ჯიშის ვაზის დამყნობა მომავალ 1904/5 წლის სეზონისათვის.

ადრესი: სად. რიონი, ამიერ-კავ. რკ. გზისა. მიხრან ალ. ანანოვი (10—6—1)

## ი. ს. ანანოვის მემკვიდრეთა
## აჯამეთის მამულში

დაიწყო გასყიდვა:

1) ფესვიანის დამყნილის ვაზისა—კრახუნას, ცოლიკაურის, ძველ-შავის, კაბერნეს და რქა-წითელის ჯიშებისა;

2) რქებისა ამერიკულ ვაზის Rupestris mont და Riparia gl-სა.

ადრესი უბრალო წერილებისა და დეპეშებისათვის: ст. Аджаметы Закавк. жел. дор.). Управляющему имѣніемъ А. М. Татевосянъ. (12—10).

## ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

## სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვისა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

**ახალი გამოცემა**

წერა-კითხვის საზოგადოებისა

## ბურჯი ეროვნებისა,

თხზულება იაკობ გოგებაშვილისა, მეორე ბევრად შევსებული, გამოცემა. ფასი ერთი აბაზი. ვიც ათობით იყიდის, წიგნი დაეთმობა 16 კაპეიკად, ვინც ოცობით—სამ შაურად.

## ცინკოგრაფია

**წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა**

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

**გამოვიდა და იყიდება**

## საბერძნეთის ძველი ისტორია,

პრ. შარლ ნორმანისა, ფრანგულიდან ნათარგმნი ვ. ლორთქიფანიძისა; 42 სურათით და ორის რუკით. ფასი ერთი მან.

ხუთშაბათს 22 იანვრისთვის, ახალ-სენაკში დანიშნულია წლის წირვა, პანაშვიდი და ძეგლის კურთხევა განსვენებულის ახალ-სენაკის თავად-აზნაურთა წინამძღოლად ნამყოფის პოლკოვნიკის

**თ. ფარნაოზ დავითის ძის მხეიძის**

მეუღლე განსვენებულისა კნეინა სოფიო ერასტის ასული მხეიძისა სთხოვს ნათესავთ და ნაცნობთ პატივი სცენ და მობძანდნენ. (2—23—2)